სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/46

ქ. თბილისი

4 აპრილი 2025 წ.

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისთვის გამოცხადებულ სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათისა (MES 6 25 0000369132) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 4 აპრილის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნას სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისთვის გამოცხადებულ სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსთან დაკავშირებით მომზადებული რეკომენდაციები და წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**